საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: კ. თ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: მ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.02.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 019/23

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ა. ბ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 22 თებერვალს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა კ. თ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ა. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომჩივანს პრეტენზია აქვს, თავის ყოფილ ადვოკატთან, ა. ბ.-სთან და ითხოვს მის დისციპლინირებას. საჩივრის თანახმად, მომჩივანს ადვოკატის დახმარება დასჭირდა, როგორც სისხლის ასევე

სამოქალაქო სამართლებრივი საქმის წარმოების გზით მისი ინტერესების დასაცავად, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით წარმოშობილ სამართლებრივ დავაში.

1.3 საჩივრის თანახმად კ. თ. დაუკავშირდა ადვოკატ ა. ბ.-ს და გააცნო საქმის არსი; მხარეებს შორის შედგა საადვოკატო მომსახურეობაზე შეთანხმება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ა. ბ.-მა აიღო ვალდებულება, სისხლის სამართლის საქმის დაწყების მიზნით, საჩივრით მიემართა საგამოძიებო ორგანოსთვის, რისთვისაც მან კ. თ.-სგან აიღო მომსახურეობის ჰონორარი 1000 აშშ დოლარი. საჩივრის თანახმად ადვოკატმა ასევე აიღო ვალდებულება, სააპელაციო წესით გაესაჩივრებინა სამოქალაქო საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რისთვისაც მომჩივანმა ადვოკატს დამატებით გადაუხადა მომსახურეობის ჰონორარი - 2200 აშშ დოლარი.

1.4 საჩივრის თანახმად, ადვოკატთან დადებული შეთანხმების შემდეგ, კ. თ. დაბრუნდა საკუთარ სამშობლოში; 8 თვის განმავლობაში ის ცდილობდა ადვოკატ ა. ბ.-სთან დაკავშირებას, თუმცა ადვოკატი არ პასუხობდა მის ზარებს და არ აწვდიდა საქმეზე ინფორმაციას. მომჩივანის განმარტებით, როცა ის საქართველოში დაბრუნდა, ადვოკატისგან შეიტყო, რომ მას არ გაუსაჩივრებია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილება. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან მოსთხოვა ადვოკატ ა. ბ.-ს საქმის დოკუმენტებისა და გადახდილი თანხის დაბრუნება, თუმცა ადვოკატმა მომჩივანს არ დაუბრუნა თანხა და საქმის დოკუმენტაცია.

1.5 საჩივრის ავტორი თვლის, რომ ადვოკატმა ის მოატყუა, აიღო შეთანხმებით გათვალისწინებული ჰონორარი, თუმცა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები; ვერ უზრუნველყო კლიენტის ინტერესების დაცვა და მოთხოვნის მიუხედავად, არ დაუბრუნა აღებული თანხა და დოკუმენტაცია კლიენტს. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის ქცევა არ შეესაბამება ადვოკატის პროფესიულ ეთიკას და ითხოვს მის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ა. ბ.-მა 2023 წლის 30 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ კ. თ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. მოპასუხე ადვოკატი ჩაერთო საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 05, 17, მაისისა და 02 ივნისის დისციპლინურ სხდომებში.

2.2 მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი მას უსაფუძვლოდ სდებს ბრალს. ადვოკატმა ა. ბ.-მა დაადასტურა მას და კ. თ.-ს შორის საადვოკატო მომსახურეობის შესახებ შეთანხმების ფაქტი. ადვოკატის განმარტებით, მას შემდეგ რაც მხარეებს შრის საადვოკატო მომსახურეობაზე შედგა შეთანხმება, საქმის წარმოებისთვის საჩივრის ავტორმა ადვოკატს ჯამში გადასცა 2900 აშშ დოლარი. რაც შეეხება საჩივარში დასახელებულ თანხას - 3200 აშშ დოლარს, მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, კ. თ.-მა მითითებული თანხიდან, 300 აშშ დოლარი საკუთარი სურვილით გადაუხადა ადვოკატის ოფისში მომუშავე თარჯიმანს, შესაბამისად მან მომჩივანისგან საქმის წარმოების მიზნით ჯამში აიღო მხოლოდ 2900 აშშ დოლარი და არა მომჩივანის მიერ დასახელებული თანხა - 3200 აშშ დოლარი. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, მიღებული თანხიდან, 1200 აშშ დოლარი მან, სამომავლოდ სარჩელის შეტანის მიზნით, ბაჟის სახით შეიტანა სახელმწიფო სახაზინო ანგარიშზე, ხოლო

დანიშნულებად მიუთითა შემდეგი: „სახელმწიფო ბაჟი, კ. თ.-ის სამოქალაქო სარჩელზე"; ასევე 240 აშშ დოლარი დაუბრუნა მომჩივას, ხოლო დარჩენილი 1460 აშშ დოლარი აიღო როგორც თავისი მომსახურეობის ჰონორარი.

2.3 მომჩივანის პრეტენზიაზე, რომ ადვოკატმა არ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ადვოკატმა განმარტა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრება, თავად მომჩივანის ბრალეულობთ, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, შეუძლებელი იყო, შესაბამისად ის ვერ დაჰპირდებოდა კლიენტს საპროცესო ვადის გაშვების გამო ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრებას. ამის საპირისპიროდ, ადვოკატის განმარტებით, ის კლიენტს შეუთანხმდა, რომ შეეცდებოდა საქმეზე გამოეკვეთა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნები და წამოეწყო მისი ინტერესების შესაბამისად ახალი სამოქალაქო დავა. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, შეთანხმების შესაბამისად მან შეიტანა განცხადება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, საქმეზე სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის მიზნით, მიმართა სსიპ ლევან სამხარულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და თბილისის საქალაქო სასამართლოში დავის წამოწყების მიზნით შეადგინა სარჩელი. ადვოკატ ა. ბ.-ის განმარტებით, მან შეთანხმების შესაბამისად გაუწია კ. თ.-ს საადვოკატო მომსახურეობა და განახორციელა ნაკისრი ვალდებულება.

2.4 მოპასუხე ადვოკატმა განმარტა, რომ მომჩივანთან საქმიანი ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, მან კლიენტისთვის თანხის ნაწილის დაბრუნება ვერ მოახერხა, რადგან, კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად სამოქალაქო დავის წარმოების მიზნით, მას წინასწარ აქვს სახელმწიფო ბაჟი 3000 ლარის ოდენობით შეტანილი სახელმწიფო სახაზინო ანგარიშზე. ადვოკატის განმარტებთ, ის გამოითხოვს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილ თანხას და დაუბრუნებს კლიენტს, რის შემდეგაც მას, აღარ ექნება დარჩენილი ფულადი ვალდებულება ყოფილ კლიენტთან.

II სამოტივაციო ნაწილი

3. **ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი ა. ბ არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 კ. თ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 22 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა („ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

4. **შემაჯამებელი დასკვნა**

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების

შესახებ დებულების 30-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. **მხარეთა შუამდგომლობებთან დაკავშირებით საპროცესო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:**

2023 წლის 05 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, მოპასუხე ადვოკატის მხრიდან გაჟღერებული შუამდგომლობა სხდომის გადადებაზე.

მოპასუხე ადვოკატი, ა. ბ ჩაერთო საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 05 მაისის სხდომაში. ადვოკატმა წარმოადგინა, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომლის დანიშნულებაშიც მითითებულია შემდეგი: „სახელმწიფო ბაჟი ქამერამ თავასსოლის სამოქალაქო სარჩელზე"; სახელმწიფო ბაჟის ოდენობად მითითებულია 3000 ლარი.

ადვოკატმა ასევე წარმოადგინა მის მიერ შეტანილი განცხადებები, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. განცხადებებით ადვოკატი ითხოვს ცნობების გაცემას, რომლითაც დადასტურდება, რომ სასამართლოებს არ განუხილავთ კ. თ.-ის საქმე და გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა არ არის გამოყენებული.

მოპასუხე ადვოკატმა 2023 წლის 05 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, იშუამდგომლა სხდომის გადადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განცხადებაზე პასუხის დაბრუნებამდე. ადვოკატმა განმარტა, რომ აღებული ცნობებით ის შეძლებდა კომპეტენტური ორგანოსთვის დასაბუთებას, რომ მან სახელმწიფო ბაჟი წინასწარ გადაიხადა, რის საფუძველზეც დაიბრუნებდა თანხას და დაუყოვნებლივ გადასცემდა მას საჩივრის ავტორს.

საპროცესო კოლეგიამ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა, ამასთან მოპასუხე ადვოკტთან დააზუსტა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ცნობის გაცემის შემდეგ, აუცილებელი იქნებოდა კომპეტენტური ორგანოსთის მიმართვა, რათა ადვოკატს დაებრუნებია კ. თ.-ისთვის მისთვის გადაცემული თანხა. საპროცესო კოლეგიამ ადვოკატთან შეთანხმებით სხდომა გადადო 10 დღის ვადით, რათა მოპასუხე ადვოკატს შესძლებოდა ცნობების წარდგენა შესაბამის ორგანოში და კლიენტისთვის თანხის დაბრუნება.

2023 წლის 17 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, მოპასუხე ადვოკატის მხრიდან გაჟღერებული შუამდგომლობა სხდომის გადადებაზე.

მოპასუხე ადვოკატი, ა. ბ ჩაერთო საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 17 მაისის სხდომაში. ადვოკატმა წარმოადგინა, თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაცემული ცნობები, რომლებითაც დადასტურდა, რომ ადვოკატის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი არცერთ სასამართლოში არ იყო გამოყენებული. მიუხედავად გამოთხოვილი ცნობებისა, 2023 წლის 17 მაისის სხდომაზე ადვოკატმა ვერ წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის დაბრუნებისა და მისი მომჩივანისთვის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება.

მოპასუხე ადვოკატმა განმარტა, რომ თანხის დასაბრუნებლად მან უნდა მიმართოს განცხადებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს, წარადგინოს გამოთხოვილი ცნობები, რის შემდეგაც შეძლებდა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 3000 ლარის უკან დაბრუნებას და მომჩივანისთვის მის გადაცემას. ადვოკატმა ა. ბ.-მა 2023 წლის 17 მაისის სხდომაზე, იშუამდგომლა, სხდომის გადადება, რადგან ადვოკატის განმარტებით, ყოფილი კლიენტისთვის თანხის დაბრუნება არსებითი ზეგავლენის მომტანი იქნეობდა საქმის შედეგზე, ხოლო სხდომის გადადების შემთხვევაში, ის შეძლებდა კომპეტენტური ორგანოსთვის მიმართვას და თანხის დაბრუნებას.

საპროცესო კოლეგიამ დააკმაყოფილა ადვოკატ ა. ბ.-ის შუამდგომლობა. დისციპლინური სხდომა ორი კვირის ვადით გადადო და ადვოკატთან შეთანხმებით საპროცესო სხდომის თარირად განსაზღვრა 2023 წლის 31 მაისი.

მოპასუხე ადვოკატის შუამდგომლობა 2023 წლის 31 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომის გადადებაზე.

მოპასუხე ადვოკატმა ა. ბ.-მა, 2023 წლის 30 მაისს იშუამდგომლა კ. თ.-ის საჩივართან დაკავშირებით 2023 წლის 31 მაისს ჩანიშნული საპროცესო კოლეგიის სხდომის გადადება. ადვოკატის განმარტებით, 2023 წლის 31 მაისს 11:30 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნულ სხდომაზე მონაწილეობს როგორც ადვოკატი და ის ვერ შეძლებდა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დასწრებას. ამასთან, ადვოკატის განმარტებით მიუხედავად თანხის დასაბრუნებლად საჭირო ყველა დოკუმენტის ქონისა, ადვოკატმა ვერ შეძლო სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის, სხდომის თარიღისთვის დაბრუნება და შესაბამისად მომჩივანისთვის გადაცემა.

მოპასუხე ადვოკატი, ა. ბ არ ჩაერთო საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 31 მაისის სხდომაში. საპროცესო კოლეგიამ იმშჯელა ადვოკატის შუამდგომლობაზე და თანხის მომჩივანისთვის დაბრუნებით, საქმის შედეგზე არსებითი ზეგავლენის გათვალისწინებით დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა.

2023 წლის 02 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, მოპასუხე ადვოკატის მხრიდან გაჟღერებული შუამდგომლობა სხდომის გადადებაზე.

მოპასუხე ადვოკატი, ა. ბ ჩაერთო საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 02 ივნისის სხდომაში. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, მან მოიპოვა ცნობები, თბილისის საქალაქო, თბილისის სააპელაციო და საქართველოს უზენაესი სასამართლოებიდა. ცნობებით დასტურდება, რომ ადვოკატის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი არცერთ სასამართლოში არ არის გამოყენებული. ადვოკატის განმარტებით, თანხის დაბრუნების მიზნით მან 2023 წლის 31 მაისს მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს, თუმცა ჯერ ორგანოს არ აქვს პასუხი მისთვის დაბრუნებული. თანხსი დაბრუნებამდე ადვოკატმა იშუამდგომლა სხდომის გადადება.

საპროცესო კოლეგიამ დააკმაყოფილა ადვოკატ ა. ბ.-ის შუამდგომლობა და დისციპლინურ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე, ადვოკატის მხრიდან საჩივრის ავტორისთვის თანხის დაბრუნების მიზნით, განუსაზღვრა ადვოკატ ა. ბ.-ს 2 კვირიანი ვადა.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით ადვოკატმა, საადვოკატო მომსახურების გაწევის მიზნით აიღო 3200 აშშ დოლარი, თუმცა მან ვერ უზრუნველყო კლიენტის ინტერესების დაცვა; შეთანხმების შესაბამისად სააპელაციო წესით არ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილება და მოთხოვნის მიუხედავად, არ დაუბრუნა კლიენტს აღებული თანხა და საქმის დოკუმენტები.

საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ შემდეგი პროფესიული ვალდებულების შესაძლო დარღვევის შესახებ:

> ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, 8-ე მუხლის მე-15 ნაწილი).
>
> ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის, 5-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

5.2 კლიენტი, ადვოკატს, როგორც სპეციალური ცოდნის მქონე პირს, დახმარებას სთხოვს იმგვარ საკითხებში, სადაც მას თავდ არ გააჩნია მათი მოგვარებისთვის შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. ადვოკატი კლიენტის ინტერესების გარანტორად გვევლინება და მისი ნებისა და ინტერესების შესაბამისად, მისთვის სასურველი შედეგის მისაღწევად, იყენებს თავის პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას. საადვოკატო მომსახურეობის გაწევისას, ადვოკატმა კეთილსინდისიერად, კვალიფიციურად და კლიენტის ინტერესებზე ორიენტირებულად უნდა გასწიოს საადვოკატო მომსახურეობა.

5.3 სწორედ კლიენტის ინტერესებით საქმის წარმოება განაპირობებს კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობაში ნდობის არსებობის აუცილებლობას, რომელიც თავის მხრივ ადვოკატის კომპეტენტურობას, პატიოსნებას, დამოუკიდებლობასა და მის ღირსებას ემყარება. ადვოკატმა კეთილსინდისიერი ქმედებებით, მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს კლიენტთან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბება. გაეცნოს კლიენტის სამართლებრივ პრობლემას და მასთან შეთანხმებით, მისი საუკეთესო ინტერესების უზრუნველსაყოფად, შეიმუშავოს პროფესიული ქმედებების განხორციელების სტრატეგია.

5.4 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ კლიენტ-ადვოკატის შეთანხმება ეფუძნება ურთიერთმფარავი ნების გამოვლენას და წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივ გარიგებას, სადაც მხარეები ნების ავტონომიით სარგებლობენ და ხელშეკრულების ფასსა და პირობებს თავად განსაზღვრავენ, ხოლო სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი). ჰონორარი წარმოადგენს ადვოკატის გასამრჯელოს, რომლის ოდენობას განსაზღვრავს ადვოკატი, კლიენტთან შეთანხმებით, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში და რომელსაც ადვოკატი გამოიმუშავებს შეთანხმებული მომსახურების შესრულებისას.

5.5 თუ ადვოკატი მომსახურების გაწევამდე წინასწარ იღებს ჰონორარს, მოცემული ფულადი სახსრები წარმოადგენს კლიენტის ფულად სახსრებს, ავანსს. ადვოკატის პროფესიული ეთიკის დაცვისათვის, ჰონორართან დაკაშირებით, კლიენტთან ურთიერთობის დაწყებისას ადვოკატს აქვს კლიენტის ინფორმირების ვალდებულება ჰონორარის ოდენობასა და გამოთვლის წესზე, რაც კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტისას მოიცავს ადვოკატის ცოდნას შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ავანსის წინასწარ მიღებისას, რა ოდენობის თანხა გამოიმუშავა. ადვოკატს აქვს ვალდებულება მომსახურების შეწყვეტისას განსაზღვროს ავანსის რა ნაწილი გამოიმუშავა, რაც უნდა ემყარებოდეს შეთანხმებიდან გამომდინარე გონივრულ დასაბუთებას.

5.6 ეთიკის კომისია, ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებელობიდან გამომდინარე მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს საადვოკატო ხელშეკრულების ფასი და პირობები. ამ კუთხით ეთიკის კომისიის უფლებამოსილება შემოიფარგლება, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8-ე მუხლის მე-15 ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც ადვოკატს ეკისრება ვალდებულება კლიენტს დაუბრუნოს გამოუმუშავებელი ჰონორარი - წინასწარ გადახდილი თანხის ის ნაწილი, რომელიც საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ, საადვოკატო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად განუხორციელებლობის შემთხვევაში წარმოიშობა.

5.7 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია შეამოწმებს, თუ რამდენად შეასრულა ადვოკატმა ა. ბ.-მა საადვოკატო ხელშეკრულებით განსაზღვრული მასზე დაკისრებული მოვალეობები და ხომ არ წარმოეშვა წინასწარ აღებული ჰონორარიდან, თანხის დაბრუნების ვალდებულება. თავის მხრივ, ადვოკატის მიერ შეთანხმების შესაბამისად განსახორციელებელი ქმედებების დაგენის მიზნით, აუცილებელია დისციპლინურ მხარეთა შრის სწორად გადანაწილდეს სადავო ფაქტების მტკიცების ტვირთი.

5.8 საჩივრის თანახმად, საადვოკატო მომსახურების გაწევის მიზნით ადვოკატმა აიღო 3200 აშშ დოლარი, თუმცა მან ვერ უზრუნველყო კლიენტის ინტერესების დაცვა, შეთანხმების შესაბამისად ადვოკატმა სააპელაციო წესით არ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილება და მოთხოვნის მიუხედავად, არ დაუბრუნა კლიენტს აღებული თანხა და საქმის დოკუმენტები. თავის მხრივ ადვოკატი არ ეთანხმება მომჩივანის მიერ მითითებულ გარკვეულ ფაქტებს და განმარტავს, რომ მან კ. თ.-ისგან, საადვოკატო მომსახურეობის მიზნით ჯამში აიღო 2900 აშშ დოლარი, ამასთან ის არ შესთანხმებია მომჩივანს სააპელაციო წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, ხოლო თავის

მხრივ მან შეასრულა ყველა ის მოქმედება, რომელიც კლიენტთან არსებული შეთანხმების შესაბამისად ევალებოდა. დისციპლინური საქმის წარმოებისას, ადვოკატმა დაადასტურა, რომ მას არ აქვს კლიენტისთვის გადაცემული თანხის ნაწილი, თუმცა განმარტა, რომ თანხა მან კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად, სამომავლოდ სამოქალაქო საქმის სასამართლოში წარმოების მიზნით, ბაჟის სახით შეიტანა სახელმწიოფო სახაზინო ანგარიშზე, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა, ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. წარმოდგენილი თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დანიშნულებაში მითითებულია შემდეგი: „სახელმწიფო ბაჟი ქამერამ თავასსოლის სამოქალაქო სარჩელზე“. ადვოკატის განმარტებით, მას მიმართული აქვს კომპეტენტური ორგანოსთვის და თანხის დაბრუნების შემდეგ, კ. თ.-ს დაუყოვნებლივ გადასცემს ბაჟის სახით, სახელმწიფო სახაზინო ანგარიშზე შეტანილ თანხას. რაც შეეხება, საქმის დოკუმენტებს, ადვოკატმა ისინი ეთიკის კომისიის შუამავლობით გადასცა კლიენტის წარმომადგენელს.

5.9 საქმის ფაქტებთან დაკავშირებით მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებაზე საქმეზე Nას-521-22, რომლის მიხედვითაც, „გარემოება დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ერთი მხარე მიუთითებს მასზე და მეორე მხარე არ ეწინააღმდეგება ამ მითითებებს.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეგიამ, საკითხზე მხარეთა განსხვავებული პოზიციების გათალისწინებით სადავოდ მიიჩნია ფაქტები - შეთანხმების შესაბამისად, ჯამში რა რაოდენობის თანხა გადასცა მომჩივანმა ადვოკატს და მხარეებს შორის დადებული საადვოკატო მომსახურეობის გარიგება, მოიცავდა თუ არა, ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე შეთანხმებას.

5.10 საპროცესო კოლეგია, საქმეზე სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის კუთით განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. „მტკიცების ტვირთის გადანაწილების დროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ის, თუ როდის გადადის მტკიცების ვალდებულება ერთი მხარიდან მეორეზე... ხოლო, ფაქტის მითითების და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან...“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე N ას-521-22).

5.11 „მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრობითობის პრინციპის სრულად რეალიზების პირობებში... საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, ხოლო სასამართლო საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით ადგენს, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძელზე აკმაყოფილეებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.“ (საქართველოს უზეაესი სასამართლოს 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N ას-521-22).

5.12 შესაბამისად, საჩივარში მითითებული ფატების დამტკიცების ვალდებულება, რომ საჩივრის ავტორმა, ადვოკატ ა. ბ.-ს მისი ინტერესების დაცვის მიზნით, საქმის წარმოებისთვის ჯამში 3200 აშშ დოლარი გადაუხადა და მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილებას სააპელაციო წესით გასაჩივრებდა, ეკისრებოდა საჩივრის ავტორს.

5.13 მომჩივანმა, საკუთარი პოზიტიური ვალდებულების განხორციელების მიზნით, წარმოადგინა ადვოკატ ა. ბ.-ის მიერ შედგენილი ხელწერილი, რომლის მიხედვითაც, ადვოკატმა ა. ბ.-მა 2022 წლის 28 მაისს, საადვოკატო მომსახურეობის გაწევის მიზნით კ. თ.-ისგან აიღო 1000 აშშ დოლარი, რაც შეეხება, საჩივარში მითითებულ დარჩენილ თანხას, მომჩივანმა მხოლოდ საკუთარი წერილობითი ახსნა-განმარტების გზით მიაწოდა საპროცესო კოლეგიას ინფორმაცია, რომ მან ადვოკატს დამატებით გადასცა 2200 აშშ დოლარი, რომლის სანაცვლოდაც ადვოკატს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩვრება ევალებოდა. საქმეზე, გარდა მომჩივანის მიერ მითითებული ფაქტებისა, წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ხელნაწერი, რომლითაც დგინდება ადვოკატის მხრიდან, საქმის წარმოების მიზნით, 1000 აშშ დოლარის აღების ფაქტი, სადავოდ არ გახადა მოპასუხე ადვოკატმა, რადგან მტკიცებულება არ ეწინააღმდეგება ადვოკატის პოზიციას. წარმოდგენილი ხელწერილი ვერ ადასტურებს საჩივრის ავტორის მიერ, მოპასუხე ადვოკატისთვის 3200 აშშ დოლარის გადახდის ფაქტსა და მხარეთა შორის შეთანხმების არსებობას, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით უნდა გაესაჩივრებინა. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას, მხოლოდ მომჩივანის წერილობითი ახსნა-განმარტების საფუძველზე დაადგინოს საქმის სადავო ფაქტები იმგავარად, როგორც ეს საჩივარშია მითითებული, მაშინ როდესაც, საჩივრის ავტორმა ვერ უზრუნველყო საკუთარი პოზიტიური ვალდებულების განხორციელება.

5.14 თავის მხრივ ადვოკატმა ა. ბ.-მა წარმოადგინა განცხადება, რომლითაც ის კ. თ.-ის სახელით, მის მიმართ შესაძლო სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყების მიზნით მიმართავს საქართველოს გენერალურ პროკურატურას. ადვოკატმა ასევე წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება, რომ მან მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ხოლო ჩასატარებელი ექსპერტიზა, მიზნად ისახავდა სადავო უძრავი ქონების სამშენებლოდ ვარგისიანობის ფაქტის დადგენას. ადვოკატმა ასევე წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სახელზე შედგენილი სარჩელი, და ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. მოპასუხე ადვოკატის მიერ, საქმეში დამატებით წარმოდგენილია თანხის მიღება ჩაბარების აქტი, რომლითაც დგინდება, რომ ადვოკატმა მომჩივანის წარმომადგენელს, მ. ხ.-ს გადასცა თანხა 240 აშშ დოლარის ოდენობით. ხოლო, საქმის დოკუმენტები ეთიკის კომისიის აპარატის შუამავლობით დაუბრუნა საჩივრის ავტორის წარმომადგენელს.

5.15 მხარეთა მიერ განხორციელებული მტკიცების გათვალისწინებით, საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე დგინდება, რომ მხარეთა შორის საადვოკატო მომსახურეობის შესახებ შეთანხმება ზეპირსიტყვიერად შედგა; ადვოკატმა ა. ბ.-მა, საქმის წარმოების მიზნით, კ. თ.-სგან ჯამში აიღო 2900

აშშ დოლარი საიდანაც 1200 აშშ დოლარი, ბაჟის სახით შეიტანა სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე; 240 აშშ დოლარი დაუბრუნა კლიენტს, ხოლო დარჩენილი 1460 აშშ დოლარი აიღო როგორც მისი მომსახურეობის საფასური. საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე ასევე დადგინდა, რომ ადვოკატმა 2022 წლის 23 ივნისს, განცხადებით მიმართა საქართველოს გენრალურ პროკურატურას, სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ფაქტების გამოკვეთის მიზნით დამატებით მოითხოვა დამოუკიდებელი საექსპერტო დასკვნის გაკეთება და სამომავლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო დავის წარმოების მიზნით შეადგინა სამოქალაქო სარჩელი, რისთვისაც წინასწარ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი. საპროცესო კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ის მხრიდან, განხორციელებული ქმედებები შეესაბამება კ. თ.-სთან დადებული შეთანხმებით ნაკისრ მის ვალდებულებებს. ადვოკატის მხრიდან განხორციელებულია ის პროფესიული ქმედებები, რომლებიც კლიენტის ინტერესების უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად. 2021 წლის 31 აგვისტოს ადვოკატმა ა. ბ.-მა, კ. თ.-ის წარმომადგენელს, მ. ხ.-ს, დაუბრუნა 3000 ლარი, რომელიც მას ბაჟის სახით ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე. შესაბამისად საპროცესო კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს არ წარმოეშვა გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრნების ვალდებულება, მან შეთანხმების შესაბამისად შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო დარჩენილი თანხა დაუბრუნა საჩივრის ავტორს.

5.16 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ვინაიდან დისციპლინური წარმოების დროს არ დადგინდა მხარეთა შორის, მომჩივანის მიერ მითითებული ფაქტების შესაბამისად შეთანხმების ფაქტი, ხოლო თავის მხრივ ადვოკატმა, წარმოადგინა მის მიერ განხორციელებული ქმედებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც შეესაბამებოდა, კლიენტ-ადვოკატს შორის საქმეზე დადგენილ შეთანხმებას; ასევე დაუბრუნა კლიენტს ავანსის სახით აღებული თანხა და ეთიკის კომისიის შუამავლობით გადასცა კ. თ.-ის წარმომადგენელს საქმის დოკუმენტები, ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის, 5-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8-ე მუხლის მე-5 და მე15 ნაწილების დარღვევის საფუძელზე დისციპლინური დევნის დაწყების სამართლებრივი საფუძველი.

5.17 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს 32–ე, 33–ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის 1-ელი ნაწილით 40-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №019/23 ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/